პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

დეკემბერი / 2023

მთავარი სიახლეები

ბრიტანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (ICO) ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ავღანეთში ევაკუაციასთან დაკავშირებული მონაცემების გამჟღავნებისთვის ჯარიმა დააკისრა

„მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”) “Meta”-სთან დაკავშირებით გადაუდებელი სავალდებულო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) ავტომატიზებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) დააზუსტა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) მიხედვით ჯარიმების გამოთვლისა და დაკისრების წესები

„მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”) “Meta”-სთან დაკავშირებით გადაუდებელი სავალდებულო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა

10.11.2023

ფოტო: edpb.europa.eu

2023 წლის 27 ოქტომბერს „მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”) გადაუდებელი გადაწყვეტილება მიიღო.[1] რის შემდეგაც, 2023 წლის 10 ნოემბერს, ირლანდიის მონაცემთა დაცვის ორგანომ (“IE DPA”) გამოსცა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, “Meta Ireland Limited”-ს (“Meta IE”) პერსონალური მონაცემების დამუშავება აეკრძალა ხელშეკრულებისა და კანონიერი ინტერესის საფუძველზე ბიჰევიორისტული (ქცევითი) სარეკლამო მიზნებისთვის. “EDPB”-ის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ნორვეგიის მონაცემთა დაცვის ორგანოს (“NO DPA”) მოთხოვნის საფუძველზე — საკითხთან დაკავშირებით მიეღო “EDPB”-ის გარკვეული ღონისძიებები, რომელსაც ექნებოდა ევროპულ ეკონომიკურ ზონაში (“EEA”) მოქმედების ძალა.

“EDPB”-ის თავმჯდომარემ — ანუ ტალუსმა განაცხადა: „საგულდაგულო განხილვის შემდეგ, “EDPB”-მ საჭიროდ მიიჩნია დაევალებინა ირლანდიის მონაცემთა დაცვის ორგანოსთვის ევროპის ეკონომიკური ზონის (“EEA”) მასშტაბით “Meta IE”-ს მიმართ მონაცემთა დამუშავების აკრძალვა. ჯერ კიდევ 2022 წლის დეკემბერში, “EDPB”-ს სავალდებულო გადაწყვეტილებებით განიმარტა, რომ ხელშეკრულება არ წარმოადგენს სათანადო სამართლებრივი საფუძველს “Meta”-ს მიერ ბიჰევიორისტული რეკლამისთვის. გარდა ამისა, “IE DPA”-მ დაადგინა, რომ “Meta” გასული წლის ბოლოს მიღებულ რეგულაციებთანაც არ იყო შესაბამისობაში. აქედან გამომდინარე, GDPR-ის 66-ე მუხლის შესაბამისად, გამოყენებული იქნა გადაუდებელი პროცედურები, რომელიც გულისხმობს, გამონაკლის შემთხვევებში, საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებას, მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების დაცვის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, განსაზღვრული ვადით დაუყოვნებლივ გაატაროს მის ტერიტორიაზე სამართლებრივი

[1] “urgent binding decision”. იხ. ელ. ბმული: <https://edpb.europa.eu/news/news/2023/edpb-publishes-urgent-binding-decision-regarding-meta_en>

შედეგების მქონე დროებითი ღონისძიებები“.

ფოტო: edpb.europa.eu

2023 წლის 14 ივლისს, ნორვეგიის მონაცემთა დაცვის ორგანომ გამოსცა ბრძანება დროებითი აკრძალვის შესახებ “Meta IE”-სა და “Facebook Norway AS”-ს (“Facebook Norway“) მიმართ GDPR-ის 66-ე მუხლის შესაბამისად. აკრძალვა მოქმედებდა მხოლოდ განსაზღვრული დროით და გეოგრაფიული მასშტაბით - მოქმედებდა სამი თვის განმავლობაში და მხოლოდ ნორვეგიაში. 2023 წლის 26 სექტემბერს, ნორვეგიის მონაცემთა დაცვის ორგანომ “EDPB”-ს წარუდგინა მოთხოვნა, გადაუდებელი სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

აღნიშნული შემთხვევის გაანალიზების შედეგად, “EDPB”-მ დაადგინა, რომ “GDPR”-ის მუდმივი დარღვევის საფუძველზე არსებობს გადაუდებელი საჭიროება, საზედამხედველო ორგანომ იმოქმედოს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების რისკების გათვალისწინებით. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მონაცემთა სუბიექტებისთვის სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის გამოვლენილ რისკებს, იმ შემთხვევაში თუ ასეთი ზომები დროულად არ იქნებოდა მიღებული.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) დააზუსტა „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) მიხედვით ჯარიმების გამოთვლისა და დაკისრების წესები

05.12.2023

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, 2023 წლის 5 დეკემბერს საქმეებზე - *Nacionalinis visuomenės sveikatos centras prie Sveikatos apsaugos ministerijos v Valstybinė duomenų apsaugos inspekcija* (C-683/21) და *Deutsche Wohnen SE v Staatsanwaltschaft Berlin* (C-807/21), გადაწყვეტილებები გამოაქვეყნა.[2]

[2] იხ. ელექტრონული ბმული: <https://www.dataguidance.com/news/eu-cjeu-clarifies-imposition-and-calculation-fines>.

ფოტო: en.wikipedia.org

გადაწყვეტილებების მიხედვით, "CJEU"-მ განმარტა პირობები, რომელთა საფუძველზეც მონაცემთა დაცვის ეროვნულმა საზედამხედველო ორგანომ GDPR-ის დარღვევისთვის შეიძლება ადმინისტრაციული ჯარიმა ერთ ან მეტ მონაცემთა დამმუშავებელს დააკისროს. კერძოდ, "CJEU"-მ აღნიშნა, რომ ასეთი ჯარიმის დაკისრების წინაპირობა უკანონო ქმედება - დარღვევის განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენაა. ამასთანავე, როდესაც ჯარიმის ადრესატი კომპანიათა ჯგუფში შედის, ჯარიმის კალკულაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მთელი ჯგუფის ბრუნვა.

საქმის გარემოებების თანახმად, ლიტვისა და გერმანიის სასამართლოებმა მონაცემთა დაცვის ეროვნული საზედამხედველო ორგანოების მიერ მონაცემთა დამმუშავებლების მხრიდან დარღვევებზე ჯარიმების დაკისრების საკითხებზე "CJEU"-ს "GDPR"-ის განმარტებისთვის მიმართეს.

ლიტვის საქმის (*Nacionalinis visuomenės sveikatos centras prie Sveikatos apsaugos ministerijos v Valstybinė duomenų apsaugos inspekcija)* მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი ("CNSP") ასაჩივრებდა 12 000 ევროს ოდენობით მის დაჯარიმებას, Covid-19-ით ინფიცირებულ პირთა მონაცემების რეგისტრირებისა და მონიტორინგის მიზნით კერძო კომპანიის ("ITSS") დახმარებით მობილური აპლიკაციის შექმნის კონტექსტში.[3] კერძოდ, "CNSP" აცხადებდა, რომ მონაცემთა ერთადერთ დამმუშავებელს საქმეში "ITSS" წარმოადგენდა, ხოლო "ITSS" ამტკიცებდა, რომ იგი იყო უფლებამოსილი პირი და არა მონაცემთა დამმუშავებელი.[4]

გერმანიის შემთხვევაში კი უძრავი ქონების კომპანია - "Deutsche Wohnen", რომელიც არაპირდაპირ ფლობდა დაახლოებით 163 000 საცხოვრებელ ობიექტსა და 3 000 კომერციულ ერთეულს, სხვა საკითხებთან ერთად, ასაჩივრებდა დაახლოებით 14 მილიონ ევროს ოდენობის ჯარიმის მისთვის დაკისრებას. კერძოდ, კომპანიას ჯარიმა

[3] Press Release No 184/23, Luxembourg, 5 December 2023, იხ. ელექტრონული ბმული: <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-12/cp230184en.pdf>.

[4] იხ. ელექტრონული ბმული: <https://gdprhub.eu/index.php?title=CJEU_-_C-683%2F21_-_Nacionalinis_visuomen%C4%97s_sveikatos_centras>.

მოიჯარეთა პერსონალური მონაცემების საჭიროზე მეტი ხნის განმავლობაში შენახვისთვის დაეკისრა.[5]

ფოტო: freepik.com

"CJEU"-მ დაადგინა, რომ მონაცემთა დამმუშავებელს არ შეიძლება დაეკისროს GDPR-ის 83-ე მუხლით (ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ზოგადი წესები) გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმა რეგულაციის დარღვევისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვევა ჩადენილია უკანონოდ, ანუ განზრახ ან გაუფრთხილებლობით. ეს ის გარემოებაა, როდესაც მონაცემთა დამმუშავებელს შეუძლებელია არ სცოდნოდა მისი მოქმედების არამართლზომიერი ხასიათის შესახებ, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა რომ არღვევდა "GDPR"-ის დებულებებს.[6]

როდესაც მონაცემთა დამმუშავებელი იურიდიული პირია, "GDPR"-ის 83-ე მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელი არ არის, რომ დარღვევა ჩადენილ იქნას მისი მმართველი ორგანოს მიერ ან, ამ ორგანომ იცოდეს კონკრეტული დარღვევის შესახებ.[7] აღნიშნულის საპირისპიროდ, იურიდიული პირი პასუხისმგებელია როგორც მისი წარმომადგენლების, დირექტორების ან მენეჯერების, ასევე, იურიდიული პირის საქმიანობის ფარგლებში ან მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი სხვა პირის მიერ ჩადენილი დარღვევებისთვის. ამასთანავე, იურიდიულ პირზე, როგორც მონაცემთა დამმუშავებელზე, ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება არ ნიშნავს, რომ ეს დარღვევა იდენტიფიცირებულმა ფიზიკურმა პირმა ჩაიდინა.[8]

---

[5] Press Release No 184/23, Luxembourg, 5 December 2023, იხ. ელექტრონული ბმული: <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-12/cp230184en.pdf>.

[6] CJEU, Case C-683/21, *Nacionalinis visuomenės sveikatos centras prie Sveikatos apsaugos ministerijos v Valstybinė duomenų apsaugos inspekcija* [2023], §§ 80-81, იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვებგვერდი: <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=280324&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=7683446>; CJEU, Case C-807/21, *Deutsche Wohnen SE v Staatsanwaltschaft Berlin* [2023], §§ 75-76, იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვებგვერდი: <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=280325&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=7683452>.

[7] CJEU, Case C-683/21, *Nacionalinis visuomenės sveikatos centras prie Sveikatos apsaugos ministerijos v Valstybinė duomenų apsaugos inspekcija* [2023], § 82; CJEU, Case C-807/21, *Deutsche Wohnen SE v Staatsanwaltschaft Berlin* [2023], § 77.

[8] Press Release No 184/23, Luxembourg, 5 December 2023, იხ. ელექტრონული ბმული:

“CJEU”-მ ასევე დაადგინა, რომ მონაცემთა დამმუშავებელი პასუხისმგებელია უფლებამოსილი პირის მიერ “GDPR”-ის 83-ე მუხლის მე-4-მე-6 პუნქტების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დარღვევისთვის, თუ უფლებამოსილი პირი მისი სახელით ახორციელებდა დამუშავების ოპერაციებს. თუმცა, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებლობა უშუალოდ უფლებამოსილ პირს დაეკისროს, თუ მან მონაცემები საკუთარი მიზნებისთვის, ან მონაცემთა დამმუშავებლის მიერ განსაზღვრულ დამუშავების ჩარჩოსთან ან დეტალურ ღონისძიებებთან შეუთავსებლად დაამუშავა. ასევე, ან იმ შემთხვევაში, თუ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა თანხმობა განაცხადა ასეთ მოქმედებაზე.[9]

ფოტო: freepik.com

ორი ან მეტი სუბიექტის მიერ თანადამუშავების შემთხვევაში, “CJEU”-მ განმარტა, რომ ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ ეს სუბიექტები ერთობლივად მონაწილეობდნენ დამუშავების მიზნებისა და საშუალებების განსაზღვრაში. „თანადამმუშავებლების“ კლასიფიკაცია არ საჭიროებს განსახილველ სუბიექტებს შორის ფორმალური შეთანხმების არსებობას, საკმარისია საერთო გადაწყვეტილება. თუმცა, თანა-დამმუშავებელთა არსებობის შემთხვევაში, თითოეულის პასუხისმგებლობა მათ შორის შეთანხმების გზით უნდა განისაზღვროს.

რაც შეეხება ჯარიმის კალკულაციას, როდესაც სამართალდამრღვევი საწარმოს შემადგენლობაში შედის, საზედამხედველო ორგანომ „საწარმოს“ კონცეფცია კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით უნდა განმარტოს. ამდენად, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა გასულ ფინანსურ წელს შესაბამისი საწარმოს მთლიანი წლიური ბრუნვის პროცენტის საფუძველზე უნდა იქნას გამოთვლილი.[10]

<https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-12/cp230184en.pdf>.

[9] იხ. ელექტრონული ბმული: <https://gdprhub.eu/index.php?title=CJEU_-_C-683%2F21_-_Nacionalinis_visuomen%C4%97s_sveikatos_centras>.

[10] Press Release No 184/23, Luxembourg, 5 December 2023, იხ. ელექტრონული ბმული: <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-12/cp230184en.pdf>.

ბრიტანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (ICO) ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ავღანეთში ევაკუაციასთან დაკავშირებული მონაცემების გამჟღავნებისთვის ჯარიმა დააკისრა

13.12.2023

ფოტო: itv.com

ბრიტანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო 350,000 ფუნტით დააჯარიმა იმ ადამიანების პირადი ინფორმაციის გამჟღავნების გამო, რომლებიც დიდ ბრიტანეთში გადასახლებას ცდილობდნენ, 2021 წელს თალიბების მიერ ავღანეთის დაკავების შემდეგ.[11]

2021 წლის 20 სექტემბერს, თავდაცვის სამინისტრომ გაგზავნა ელექტრონული წერილი, ავღანეთის იმ მოქალაქეებთან, რომლებსაც ევაკუაციაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. ელექტრონული წერილის გაგზავნა მოხდა ელექტრონული ფოსტის "To" ფუნქციის გამოყენებით, აღნიშნული ფუნქცია, არ ფარავს ადრესატების მონაცემებს, რამაც გამოიწვია 245 ადამიანის შესახებ პერსონალური მონაცემების გაუფრთხილებლად გამჟღავნება. ადრესატებიდან 55 ადამიანს ჰქონდა მინიატურული სურათი ელფოსტის ანგარიშზე, ხოლო ორმა ადამიანმა, ყველა ადრესატს დაუბრუნა პასუხი, სადაც ერთ-ერთმა მიუთითა მისი ადგილმდებარეობა.

ძირითადი ელექტრონული ფოსტა, გაგზავნა გუნდმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო გაერთიანებული სამეფოს ავღანეთში გადაადგილებასა და დახმარების პოლიტიკაზე (ARAP), რომელსაც უნდა უზრუნველყო ავღანეთის მოქალაქეების ადგილმდებარეობის შეცვლა, რომლებიც მუშაობდნენ გაერთიანებული სამეფოს მთავრობასთან ავღანეთში. ისეთ შემთხვევაში, თუ გამჟღავნებული ინფორმაცია თალიბების ხელში აღმოჩნდებოდა, შესაძლოა ელექტრონული ფოსტის ადრესატების სიცოცხლეს საფრთხე შექმნოდა.

მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემდეგ მალევე, თავდაცვის სამინისტრო დაუკავშირდა დაზარალებულ ადამიანებს და სთხოვა წაეშალათ ელფოსტა, შეეცვალათ ელექტრონული ფოსტის მისამართი და ეცნობებინათ ARAP-ის გუნდისთვის

[11] <https://ico.org.uk/about-the-ico/media-centre/news-and-blogs/2023/12/ico-fines-ministry-of-defence-for-afghan-evacuation-data-breach/>.

მათი ახალი საკონტაქტო დეტალების შესახებ უსაფრთხო ფორმის საშუალებით. თავდაცვის სამინისტრომ ასევე ჩაატარა შიდა გამოძიება, გააკეთა განცხადება პარლამენტში მონაცემთა დარღვევის შესახებ და განაახლა ARAP-ის ელექტრონული ფოსტის პოლიტიკა და პროცედურები, მათ შორის ARAP-ის გუნდისთვის "Second Pair of Eyes" პოლიტიკის განხორციელება, აღნიშნული გულისხმობს ორმაგ შემოწმებას, რომლის დროსაც ერთი თანამშრომლის მიერ გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის ჯვარედინი შემოწმება ხდება მეორე თანამშრომლის მიერ.

ბრიტანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის თანახმად, ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა თავიდან აიცილონ ადამიანების ინფორმაციის არასათანადო გამჟღავნება. "ICO"-ს მითითებები ცხადყოფს, რომ ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მონაცემთა უსაფრთხო გადაცემის სერვისები ნებისმიერი სენსიტიური პერსონალური ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნისას. "ARAP"-ის გუნდს არ გააჩნდა ინციდენტის დროს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები და ეყრდნობოდა ელექტრონული ფოსტის "BCC" ფუნქციას, რომლის მთავარი მიზანია ადრესატების პერსონალური ინფორმაციის დაფარვა, მაგრამ აღნიშნული ფუნქცია შეიცავს ადამიანური შეცდომის მნიშნელოვან რისკებს.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობის გათვალისწინებით, ჯარიმა შემცირდა საწყისი ოდენობიდან - 1,000,000 ფუნტიდან 700,000 ფუნტამდე, რადგან თავდაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომელიც ARAP-ის გუნდს შეექმნა. "ICO" - ს საჯარო სექტორის მიდგომით, ჯარიმა კიდევ უფრო შემცირდა 350,000 ფუნტამდე. ეს ჯარიმა მონაცემთა დარღვევის შემაკავებელია, რაც უზრუნველყოფს, რომ როგორც თავდაცვის სამინისტროს, ასევე სხვა ორგანიზაციებს ჰქონდეთ შესაბამისი პოლიტიკა, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ელ. ფოსტით მონაცემთა სუბიექტთა პერსონალური მონაცემების არასათანადოდ გამჟღავნების რისკები.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) ავტომატიზებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა

7.12.2023

ფოტო: curia.europa.eu

2023 წლის 7 დეკემბერს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების, კერძოდ „ქულების მინიჭების“, საკითხებზე გადაწყვეტილება გამოიტანა.[12] საქმე შეეხება გერმანიის საკრედიტო კომპანიას (“SCHUFA”), რომელიც მომხმარებლების კრედიტუნარიანობას შესაბამისი ქულით აფასებს.[13]

ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ფიზიკურ პირს უარი ეთქვა კრედიტის მიღებაზე “SCHUFA” - ს მიერ მინიჭებულ ქულაზე დაყრდნობით. შედეგად, პირმა კომპანიისგან მოითხოვა მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების თაობაზე, უზუსტობების გასწორების მიზნით, გადაეცა ინფორმაცია. აღნიშნულის საპასუხოდ, უწყებამ პირს მიაწოდა ინფორმაცია მხოლოდ მინიჭებული ქულის თაობაზე და წარუდგინა ზოგადი მიმოხილვა ქულების გამოთვლის მეთოდთან დაკავშირებით. კომპანიამ, ვაჭრობის საიდუმლოებაზე აპელირებით, უარი განაცხადა ქულების გამოთვლის შესახებ სხვა დეტალების გამჟღავნებაზე.

💡 „ქულების მინიჭება“ არის მათემატიკური სტატისტიკური მეთოდი, რომელიც გამოიყენება სამომავლო ქცევის ალბათობის განსაზღვრისთვის, მაგალითად როგორიცაა სესხის დაფარვა.

“SCHUFA”-ს განმარტებით, მან სახელშეკრულებო პარტნიორს წარუდგინა ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც მიღებული იქნა შესაბამისი საკრედიტო გადაწყვეტილება.

❗ ხაზგასასმელია, რომ ვალებისგან გათავისუფლების თაობაზე ინფორმაცია გერმანიის

[12] Court of Justice of the European Union (CJEU), Judgment of the Court (First Chamber), 7 December 2023, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=280428&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=8661795>, [21.12.2023].

[13] Electronic Privacy Information Center, Top EU Court Rules Against Use of Automated Decision-Making Algorithms in Credit Information Industry, December 11, 2023, <https://epic.org/top-eu-court-rules-against-use-of-automated-decision-making-algorithms-in-credit-information-industry/#:~:text=The%20Court%20of%20Justice%20of,creditworthiness%20with%20a%20numerical%20score>, [20.12.2023].

„გადახდისუუნარობის საჯარო რეესტრში“ ინახება 6 თვის, ხოლო საკრედიტო საინფორმაციო კომპანიებში - 3 წლის ვადით.

⚖ ზემოაღნიშნული საქმე განსახილველად გადაეცა გერმანიის ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელმაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის შესაბამისად“ პერსონალური მონაცემების ფარგლების დასადგენად მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს. საკითხის განხილვის მთავარ ორიენტირს წარმოადგენდა მიიჩნეოდა თუ არა კომპანიის მიერ ავტომატური საკრედიტო ქულის გამოთვლა „ავტომატიზებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებად“ “GDPR”-ის 22-ე მუხლის გათვალისწინებით.[14]

ფოტო: flaticon.com

“CJEU”-ს განმარტებით, ქულების მინიჭება უნდა მიიჩნეოდეს „ავტომატიზებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებად“, რადგან აღნიშნულის საფუძველზე ხორციელდება გადაწყვეტილების მიღება.

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში შეფასდეს არსებობს თუ არა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი, ხოლო არსებობის შემთხვევაში, რამდენად შეესაბამება “GDPR”-ის მოთხოვნებს.

ვალებისგან გათავისუფლების თაობაზე არსებული ინფორმაციის შენახვის ვადებთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ კერძო უწყებების პრაქტიკა, კერძოდ 3 წლიანი შენახვის ვადა, ეწინააღმდეგება “GDPR”-ის მოთხოვნებს, რამდენადაც აჭარბებს „გადახდისუუნარობის საჯარო რეესტრში“ მონაცემთა შენახვის ვადას. ვალებისგან გათავისუფლების მიზანია მონაცემთა სუბიექტისთვის ეკონომიკურ ცხოვრებაში ხელმეორედ ჩართვის შესაძლებლობის მიცემა, რომლის ფარგლებშიც ფასდება ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობა. გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი მონაცემები უნდა იქნას შენახული 6 თვით. ამ პერიოდის გასვლის შემდგომ, მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ინტერესები გადაწონის

[14] CJEU regards scoring through algorithms as automated decision making, potentially in breach of GDPR, <https://gtg.com.mt/cjeu-regards-scoring-through-algorithms-as-automated-decision-making-potentially-in-breach-of-gdpr/>, [20.12.2023].

საზოგადოებრივ ინტერესებს ამ ინფორმაციაზე წვდომის კონტექსტში.

გამომდინარე იქიდან, რომ 6 თვის გასვლის შემდეგ მონაცემთა შენახვა აღარ არის კანონიერი, მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა წაშლის მოთხოვნის უფლება აქვს ანუ, თავის მხრივ, უწყება ვალდებულია, წაშალოს მონაცემები მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში.

ფოტო: flaticon.com

რაც შეეხება “SCHUFA”-ს მიერ 6 თვის განმავლობაში ინფორმაციის პარალელური შენახვის კანონიერებას, მითითებული საკითხი უნდა იქნას შეფასებული ადგილობრივი სასამართლოს მიერ. თუ დადგინდება, რომ 6 თვის ვადით მონაცემთა პარალელური შენახვა კანონიერია, მონაცემთა სუბიექტს კვლავ რჩება მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისა და მონაცემთა წაშლის უფლებები, თუ კომპანია ვერ დაასაბუთებს მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძვლების არსებობას. დამატებით, “CJEU”-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს უნდა ჰქონდეთ იურიდიულად სავალდებულო ნებისმიერი გადაწყვეტილების სრულყოფილად განხილვის შესაძლებლობა.[15]

[15] Court of Justice of the European Union (CJEU), PRESS RELEASE No 186/23, Luxembourg, 7 December 2023, Judgments of the Court of Justice in Case C-634/21|SCHUFA Holding (Scoring) and in Joined Cases C-26/22 and C-64/22| SCHUFA Holding (Discharge from remaining debts), <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-12/cp230186en.pdf>, [21.12.2023].

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge